

# ବୋଲି ର୍ଜ ପାନେପା

ଭାବିତା ଓ ଆମ୍ବାରୀରେ କାହାରେ


ଶବ୍ଦାଳୁପା

ପ୍ରକାଶିତ

ପାତାରେ ପାତାରେ

ମେହରଙ୍ଗାର ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମିକା

ଅଧିକାରୀ ମନ୍ତ୍ରୀ ମନ୍ତ୍ରୀ



ବୋଲି ର୍ଜ ପାନେପା

ମେହରଙ୍ଗାର ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମିକା ସାହାନିଃସାହା

1921

୩୮/f-459

# ტესი და განგეზა წმიდისა და ანგელოსებრივისა სემისა

წინასწარ დამზადებს ტაბლისა ზედა წიგნი წმიდისა სახარებისა, წყალი ნაკურთხი და საქმეები ერთ კერძო; ხოლო მარჯვენი წმიდისა ტრაპეზისა საფარებელი წინამდებრისათვის. შემდგომად რეესისა ზართასა, შემოკრებენ დანი მოსილნი სრული სამოლონწმინდო სქემითა ბჭეთა თანა ეკლესიისათა. ხოლო წინამდებრი მღვდელი მოსილი ფილონითა მივალს მუნ დიაკვან და მღვდლებითურთ; და ოცითვეულსა მას, როგორსა ეგულების აღკვეთა, თან ახლდეს ნათლია თვისი, აქვნდეს სანოელი მარჯვენება ხელსა და სქემა იგი წმიდა მარტინენება მას. წარსდგების წინაშე წინამდებრისა და იტყვის ტრაპეზისა, ხმა ა:

**მორჩილი:** წიაღნი მამულნი განმიხვენ წყალობით, რომელმან ესე უძღებებით წარვაგე ცხოვრებად ჩემი; სიმღიდრესა მას დაულეველსა მოსავ ვარ კაც-მოყვარებისა შენისასა, მაცხვარ. დავლახაკებულსა ამას სულსა ჩემსა ნუ უგულებელს ჰყოფ. რამეთუ შენ უფალო სინანულით გიღაღადებ: ვსურდე, მამაო, ცად მიმართ და წინაშე შენსა.

**მღვდელი:** კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი უოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

რავაშ მგალობელნი იტყვიან წმიდაო ღმერთოსა, მორჩილნი შემგომად წინამდებრისა შემოვლენ (მოლოზნებითურთ) ეკლესიას შინა, მოვლენ წინაშე საკურთხეველისა და დასდებენ სქემას ტაბლისა ზედა, და მუხლსა მოიღევენ დაწესებულსა ადგილსა მათა. ხოლო მოძღვარი დაკვინითურთ შევლს საკურთხეველს.

**მგალობელი:** ამინ.—წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ (სამ გზის). ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ. უფალო, გვიხსენ და გვილხინ ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი. წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის. მამაო ჩვენო. . . .

**მღვდელი:** რამეთუ შენი არს სუფერა, მალი და დიდება მამისა და მისა და წმიდისა სულისა, უოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**მგალი.** ამინ.

წინამდებრი დასჯდების საფარებელსა ზედა, ხოლო ოცითვეული მორჩილი წარსდგების და იტყვის ესრედ:

**მორჩილი:** უფალო ღმერთო ჩვენო, აწ წინაშე წმიდისა საკურთხეველისა შენისა მუხლ-მოყრილი და წრფელის გულითა მოვითხოვ წყალობასა შენსა, რათა ღირსეულად მამყოფო პატიოსანსა და წმიდაოსა სავანესა შენსა, საღაც იმყოფებიან და გმისახურობენ მხედვანთ



შენი. უფალო ღმერთო, განსწმიდე და აკურთხე განზრახვა ესე ჩემი. ვტოვებ რა ამ წუთიერი სოფლისა სამკულსა, მაღლითა შენითა შევიმოსები სამოსელითა მწირობისასა; მეყავნ ესე ცხოველ-უტყუარ სახე ყოველივე მსოფლიოს განცარცვისა და ზეციური შენი სულის შემოსვისა. სასოებით გთხოვ უფალო, რათა ყოველთვის. აღვასრულო წმიდა ნება შენი და რუდუნებითა შევიძინო ყოველი საონოებად და კეთილად განცდილი მორჩილობაში ღირს ვიქმნე მხევალი შენი. . . . . წმიდათა აღთქმათა წარსათქმელად მოწყალებითა შენითა და შეოხებითა უმანკოდ ჩასახებული ქალწული მარიამისა, მოციქულთა სწორისა ივერიის განმანათლებელისა ნინოსი და ყოველთა წმიდათა. ამინ.

აღსდგება წინამძღვარი და იტყვის ესრედ:

**მღვდელი.** გმაღლობ შენ უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან მრავლითა წეალობითა შენითა, ისესენ მსევალნი ესე შენი (სახელები) ამაოცეა ამის სოფლისა ცხოვრებისაგან, და უწოდე მათ ნეტარებისა ამის აღთქმასა. ღირს ჭყაფნ ესენი ცხოვრებასა ღირსებით ანგელოზებრივისა მოქალა ქობისასა. და დაიცევნ ესენი მასეთაგან ეშმაკისათა, და წმიდა ჭყაფნ სულნი და სორცნი ამათნი ვიდრე სიკვდიდმდე, და რათა ტაძრად წმიდად ღირს-იქმნენ. და გულის-ხმა უჟაფნ ამათ ჭესენებად შენდა უოვლადვე, და შენთა ბოძანებათა. სიძაბლე, სიუვარული, და სიმშეიდე მოანიჭე, მეოხებითა უოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის-მძობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისათა, მოციქულთა სწორისა ივერიის განმანათლებელისა ნინოსი, და უოველთა წმიდათა.

მგალობ. ამინ.

აღსდგება საფარისელსა ზედა და ეტყვის ესრედ:

**მღვდელი.** განახვენით გულისა თქვენისა უურნი, შეიღლნო, და ისმინეთ ხმად უფლისა, რომელსა იტყვის: მოვედით ჩემდა უოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი ცოდვითა, და მეგანგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მძვიდ ვარ და მძაბალ გულითა, და ჭიროვოთ განსვენებად სულთა თქვენთა. გულის-ხმა ჭყაფ ესეცა, რამეთუ თვით მაცხოვარი ჩვენი, უოვლად

ქებულისა დედისა თვისისა თანა, და წმიდათა ანგელოზთა,  
და უღელთა წმიდათა თანა აქა მდგომარე არს სტენად  
სიტევისა თქვენისა, მეძებელი, რათა რაჭაში მოვიდეს  
განსჯად ცხოველთა და მკვდართ, მოგავოს თქვენ: არა  
ამისთვის რომელი აღიარეთ და აღუთქვით, არამედ რო-  
მელიცა დაცვათ აუღიარებლად. აწ ამიერითგან უკეთუ  
გოსრულ ხართ წინაშე დგომისა, გკითხავთ სიმშვიდით, და  
მომიგეთ ჩეენ უღელითა კრძალულებითა.

**კითხვა:** რაისათვის მისრულსართ, შეიღწო, შევრდომით წმიდასა  
ამას მისხურბლის შესაწირავსა და წმიდათა ამათ კრებულთა?

**მიგება:** მებაჟს განშორებად სოფლისაგან, პატიოსანო მამაო.

**კითხვა:** ნებითა თქვენითა ლირს იქმნებითა ანგელოზებრივსა  
ამას სახესა და წესა მოლოზანთასა?

**მიგება:** ჰე, ღვთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

**გლოვ.** სოლო რაჭაში აღგირჩევინ კეთილი და სანატრელი  
ესე საქმე, უკეთუ გნებავნ განსრულება კეთილისა საქმითა,  
შრომითა, რუდუსებითა და ტკივილითა განსრულდების.

**კითხვა:** ნებითა გონებითა თქვენითა მოხვალთა წინაშე უფლისა?

**მიგება:** ჰე, ღვთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

**კითხვა:** ანუ თუ ჭირისა რომლისაგანმე, გინა ძალითა ტყლტკითა?

**მიგება:** არა, პატიოსანო მამაო.

**კითხვა:** დაითმენთა უღელისა ძვირის სილვას, იწროებასა, ბო-  
როტთა მიერ აღმრულისა მზაგვარებასა სასუფენელისათვის  
ფათასა?

**მიგება:** ჰე, ღვთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

მღვდელმან ხელსა იყრას წმიდა სახარება და პსთვეს:

**გლოვ.** აჸა, ქრისტე უსილავად აქა მდგომარე არს: და ისილეთ,  
შეიღწო, რამეთუ არავინ გამძულებნ, არცავინ მძგნის  
დავნ მიღებად წმიდისა ამის სქემისა; ისილეთ რამეთუ  
თქვენ თვით ნებითა თქვენითა გნებავნ მიღებად წინდი  
დიღისა ანგელოზებრივისა ამის სქემისა.

**მიგება:** ჰე, პატიოსანო მამაო, ნებითა ჩემით.

შემდეგ ამისა ორსდევების წინაშელვარი და კურთხებს წინდებულსა სკემასა შემდევითა ლოცვითა:

**მღვდლ.** უფალო ეოვლის შექრობელო, რომელიც განიჩანტეჭა შეს  
სავთა შენთა და შექროსა შათ ასლითა კაცით, მორიდე  
უხევი წეალობა შენი სამოსელთა ამარ უდი და ჰევენ  
იგინი შეგავსად სალენისა მცს ილიასი, რატა შემოსრის  
მათთა იყოს სული შენი მრჩობლ მხევალთა ამათ შენთა  
შედა. და დაცულნი წმიდითა კრძალულებითა, განვლონ  
ამა სოფლისა სიამოვნებათა დელგანი: აღჭურვილნი მაღ  
ლითა შენითა მარად ვიდოდენ და სრახვიდენ მოწევალებაც  
შენთა, უოვლადეე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**მგალობ.** ამინ.

მყენულიდ აბურუებს სკემასა წყლითა წმიდითა და უკუნის: შემდეგ დასჯები სვარ-  
ძელს ზედა, დამდებელი წინაშე მისსა მაკატელი სახარებასა ზედა, და იტყვა:

**მღვდლმაკრზტექლი,** მიღიდე და მომეც მე (სამ გზის).

მოილებს მაკატელსა წმიდისა სახარებისაგნ და იტყვა:

**მღვდლ.** კურთხეულ არს ლმერთი რომელსა ჭებავს უოველთა  
კაცთა ცხოვრება, და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მო-  
სვლა: რომელ არს კურთხეულ უკუნისამდე.

სოლო მღვდელი მოკვეცს ჯვრის სახედ და იტყვა:

**მღვდლ.** და ესე ჩვენი . . . მოკვეცს თმასა თავისეა თვისისა-  
სა, სახელითა მამისათა ამინ, და მისათა ამინ, და სუ-  
ლისა წმიდისათა ამინ.

შემოსეისათვის პსტვა:

**მღვდლ.** და ესე ჩვენი . . . შეიმოსე სამოსელსა სტარულისასა,  
მასხელითა მამისათა და მისათა და სულისა წმიდისათა.

**მგალობ.** ამინ.

შერტყმისათვის პსტვა:

**მღვდლ.** და ესე ჩვენი . . . შეირტყავს ძალსა ჭეშმარიტებისასა  
მოსაქვრინებელად სორცობა, და განსაასლებელად სულისა,  
სახელითა მამისათა და მისათა და სულისა წმიდისათა.

**მგალობ.** გიმინ უირძებ და უდუიდო ცეციონული იგი სამოსელისათვის პსტვა:

**მღვდლმარტლი მწერე ჩვენი** . . . მიღიდებს წაბეჭურს უამოსეულად  
უცილენები უსაფრთხოებისადაც სიძრდამლისა, სახელითა მარისათა და  
მისათა და სულისა წმიდისათა.

**მგალობ.** ამინ.

კუნკულისათვის შოტვები:

**მღვდ.** და ესე ჩვენი . . . . შეიძოს კუნკულასა უმანკოებებშია  
ოჯახსა ზედა, ჩაფხუტად სასოებისა და ცხოვრებისა, სასე-  
მცხებლითა, მაძისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

**მგალობ.** ამზნ . . . . მანლილისათვის ჰათვები:

**მღვდ.** და ესე ჩვენი . . . მიღლებს საბურავსა თავსა ზედა, და  
ფარქად წილლთა სრუნვათაგან წარმატყალისა სკოჭლისა,  
სასელითა მაძისათა და ძისათა და სულისა წმიდისათბ.

**მგალობ.** ამინ.

მიღლებენ რა ახალმორჩინლი სქემასა მას წმიდასა, წარვლენ ნათლისით  
და ჟიმოსევნ მას წესისამებრ და კალვ მოვლენ ადგილსა მათს.

**მგალობ.** რაღდენთა ქრისტეს შიერ ნათელ გვიღებიეს, ქრისტე შეგვი-  
მოსიეს. ალლილუია.

ხოლო გიოთხელი წარსდგების და ოტვის წარდგმაბია:

**შკითხველი:** უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ: უფალი შესაველრებელარს.

**დიაკვანი:** სიბრძნით.

**შკითხველი:** ეფესელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა  
საკითხები.

**დიაკვანი:** მოხედენ.

**შკითხველი:** ძმანო, ამიერითგან განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკი-  
ცითა ძლიერებისა მისისათა: შეიძოსეთ ყოვლად საჭურველი იგი  
ღმრთისა, რათა შეუძლოთ თქვენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ  
ეშმაკისათა; რამეთუ არა არს ბრძოლა ჩვენი სისხლთა მიმართ და  
ხორცა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, ხელულის-  
მცყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოლესათა, სულთა მიმართ  
უკეთურებისათა, რომელნი არიან, ცასა კვეშე: ამისთვის აღიძეთ  
ყოვლად საჭურველი იგი ღმრთისა, რათა შეუძლოთ წინა-დად-  
გომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსავე იქმოდეთ, რაჭა  
ჰსდგეთ მტკიცედ უკვე ჰსდეგით, მოირტყენით წელნი თქვენნი  
კეშმარიტებითა, და შეიძოსეთ აჯაჭვი იგი სიმართლესა, და შემსუ-  
ნით ფერხთა თქვენთა განზიადებულებაც სახარებისა მის მშვიდობისა..  
ყოველსა შინა აღიღეთ ფარი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ  
ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად;  
და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგთ და მახვილი იგი სურინსა,  
რომელ არს სიტყვა ღმრთისა. ყოვლითა ლოცვითა და ველრებითა  
ილოცევდით ყოველსა ერმა სულითა; და მებრევ, ამისთვის ილვიძე-  
ტით ყოველითა კრძალულებითა და ველრებითა ყოველთა წმიდათა  
თვის. (ეფეს. თავი 6, 10—18).

**მგალობ.** ალლილუია (სამ გზის).

შინა რა სურადი

**გლვდ.** სიბრძნით აღქმართებული და ისმინეთ წმიდა სახარება.

მშვიდობა ერთეულობა.

**მგალ.** და სულისაცა შენისათანა.

**დიაკვ.** მატერიალისა სახარებისა საკითხავი.

**მგალ.** დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა.

**გლვდ.** მოსეულენ.

**დიაკვანი:** სოქეა უფალმან: რომელსა უყვარდეს მამაჲ, ანუ დედაჲ უფალს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ლირს. და რომელსა უყვარდეს ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ლირს. და რომელმან არა ალილოს ჯვარი თვისი და შემომიღებეს მე, იგი არა არს ჩემდა ლირს. მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. ალილეთ ულელი ჩემი თქვენზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა. რამეთუ ულელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. (მათ. 10, 37-38; 11, 28-30)

**მგალ.** დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა.

კვლავ დასჭიდება მღვდელი სავარძელსა ზედა, და თვითვეულსა შორჩილსა მსაცემს ჯვარსა და იტყვის;

**გლვდ.** სოქებ უფებლმან, რომელსა ჭებაუს შემოდგომად ჩემდა, უარ ჭეაჭნ თავი თვისი და აღიღებნ ჯვარი და მოძღვდინ მე.

მისცემს საგარდსა და იტყვის;

**გლვდ.** იღვიძევდი და იღლცევდი ერთეულსა ქამისა; და მადლითა წმიდისა ამის საჭარდისათა განუმსადებდე სახარებასა გზასა მშვიდობისასა.

დაღვის გვირკვისა და იტყვის;

**გლვდ.** ისარებდინ სული შენ უფლისა მიმართ, რამეთუ შეგმოსა შენ სამოსელი ცხოვრებისა და ვითარცა სასტლოდ მიმავალი დაგადება შენ გვირგვინი და შეგამკო შენ სამკაულითა.

მისცემს სანთლისა ანთებულსა და იტყვის;

**გლვდ.** ესრედ ბორწეინევდინ ნათელი შენი წინაშე კაცობ, რათა ისილნენ საქმენი შენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა შენსა ზეცათასა.

აწ წინამძღვარი ალდეგეს სავარძელით და სოქეს ლოცვა ეს:

**გლვდ.** უღელსა შენსა, მეუვეო, საცხოვრებელსა შეიწენარე მსეუალნი ესე შენი . . . და ლირს ჭეაჭნ იგინი რჩეულობა სამწესოსა შენისათა აღრიცხვად. და უგელსა შინა სა-

ქმესა კეთილსა აჩვენე ესენი მტკიცედ მოღვაწედ, და ჩვენ,  
სულიერთა მაღლოთა ადსრულებად მოგვანიჭე, მეოხებთა  
უფლად წმიდისა, დედოფლისა ჩვენისა, ღვთის-მძობელისა;  
და მარადის ქალწულისა მარიამისათა, მოციქულთა სწო  
რის ივერიის განმანათლებელისა ნინოსი და უზველთა  
წმიდათა შენთათა.

**მგალობ. ამინ.**

ხოლო დიაკვანი წარსთვეამს:

**დიაკვ.** მშეიღობით უფლისა მიმართ ვიღოცოთ,

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკვ.** ზეგარდამო მშეიღობისა და ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა  
უფლისა მიმართ ვიღოცოთ.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკვ.** მშეიღობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დვომისათვის წმი-  
დათა ღვთისა ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის, უფლისა მი-  
მართ ვიღოცოთ.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკვ.** წმიდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებითა, სასოებითა და ში-  
შითა ღვთისათა შემავალთა ამასა შინა, უფლისა მიმართ ვიღოცოთ.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკვ.** უწმიდესისა და უმართებელესისა პაპისა ჩვენისა . . . , არხიეპი-  
სკობოსისა ჩვენისა . . . . , პატიოსანთა მღვდელთა და ქრისტე-  
მიერ დიაკვანთა და ყოვლისა სამღვდელოსა დასისა და ერისა მათი-  
სათვის, უფლისა მიმართ ვიღოცოთ.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკვ.** სრულიად საქართველოს მთავრობისათვის, წმიდისა ამის მონას-  
ტრისა და ყოვლისა ქალაქისა და სოფლებისათვის და სარწმუნოებით  
მკვიდრთა მათ შინა, უფლისა მიმართ ვიღოცოთ.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკვ.** დათა ამათ ჩვენთა . . . . შეწენისა და დაცისათვის, უ. მ. ვ.  
რათა უკოდველად და უსჯელად და დაუბრკოლებლად იქმნეს  
სქემის მიღება და წესისა დასის, უ. მ. ვ.

რათა დაადგენ ესენი ყოვლითა სასოებითა და სარწმუნოებითა  
შეუძრველად, უ. მ. ვ.

რათა განძარცვილ იქმნას ამათგან ძევლი იგი კაცი, და შემო-  
სილ ახლითა ღვთისა მიერ დამბადებელისა, უ. მ. ვ.

რათა შეენდონენ და მიეტევნენ ცოდვანი მათნი, უ. მ. ვ.  
რათა განეშორონ ყოვლისა სოფლისა გულის თქმათაგან, უ. მ. ვ.



რათა იხსნენ ყოვლისა უძლურებისაგან, რისხისა და იწროებისა, უ. მ. ვ.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკ.** შეგვეწიენ, გვაცხლენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევნ ჩვენ ლმერთო შენითა მაღლითა.

**მგალ.** უფალო შეგვიწყალენ.

**დიაკ.** ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ლოთის-მშობელისა და მარალის ქალწული მარიამისა და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა თავისი და ურთიერთას და ყოველი ცხოვრებად ჩვენი, ქრისტიანი ლმერთსა ჩვენსა შევველროთ.

**მგალ.** შენ უფალო.

**გლვდ.** რამეთუ წმიდა სარ შენ, ღმერთო ჩვენო, და შენდა დიდებასა აღვაკლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითო უკუნისამდე.

**მგალობ.** ამინ.

შლედელი ოტყის ლოცვასა ამას.

**გლვდ.** უფალო ღმერთო ჩვენო, შეიწუნარე შეეფალნი ესე შენნი სულიერსა მას ეზოსა შენსა და შეჭრაცხე ესენი სიტყვიერსა სამწესოსა შენსა თანა; განსწმიდე გონებად მათი ხორციელთაგან გულის-სიტყვათა და ამაღისა ამის სოფლისა საწოურისაგან, ახლის ამის ცხოვრებითა დასათროვნელად მტერთა გამოაჩინე. ხოლო მოეც მათ მარადის ხსენებად კეთილთა მათ განმზადებულთა მოუქარეთა შენთათვის, რომელთა ჯვარს აცვნენ თავნი თვისნი სოფელსა ამას სასულეველისათვის შენისა. რამეთუ შენ სარ მწუესი და მსედველი და ეპისკოპოსი სულთა, და შენდა დიდებასა აღვაკლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითო უკუნისამდე.

**მგალ.** ამინ.

**გლვდ.** ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო, შეგვიწულენ ჩვენ.

**მგალ.** ამინ.

და ესრედ განსრულდების წესი სექმის შემოსვის.



NK 759  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ԶՈՒՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ